# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №33

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა შუახევი                                                                 19 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრის (შემდგომში „შემსყიდველი") დირექტორის ვახტანგ ბერიძე და მეორეს მხრივ (შემდგომში „მიმწოდებელი") შ.პ.ს WORLD PRINT დირექტორის ბენიამინ ჯაყელიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N19 განკარგულების საფუძველზე დადებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კულტურის ცენტრს მიაწოდოს სიგელები CPV 22800000

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 58,50 ( ორმოცდათვრამეტი) ლარს

2.2. ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართის #3 შესაბამისად;

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია შემსყიდველი.

### 3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2016წლის 31 დეკემბრამდე

3.2. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;

3.3. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.4 შემსყიდველი მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები;

3.5. მომსახურების მიწოდების ადგილია შუახევის კულტურის ცენტრი რუსთაველის #28.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შედგენილი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს კულტურის ცენტრის სამეურნეო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი სულხან დავითაძე

5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

### 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 7. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. შეუსრულებლობის მიზეზის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

შემსყიდველი                                                                 მიმწოდებელი

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტისირგვლივ.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. მიმწოდებელი ვალდებულია საორგანიზაციო საკითხები წინასწარ შეათანხმოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელ პირებთან.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.5. მხარეებივალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი ზიანი

11.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

11.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე .

13. მხარეთა რეკვიზიტები

ა.ა.ი.პ. შუახევის კულტურის ცენტრი

მის. დაბა შუახევი რუსთაველის ქ.N28

ს/კ 247865252

სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22

დირექტორი ვახტანგ ბერიძე

შემსყიდველი

შ.პ.ს WORLD PRINT

ქ.ბათუმი

ს/ნ 445423943

ა/ა GE91TB7317736020100002

ს.ს. „თიბისი ბანკი"

ბ/კ TBCBGE22

[illegible]

მიმწოდებელი

დანართი

| № | მომსახურება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | ჯამური ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | დიპლომის დამზადება | 37 | 1.5 | 55.50 |
| | [illegible] | 1 | 3 | 3 |
| სულ | | | | 58.50 |

შემსყიდველი

მიმწოდებელი